**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)**
**დადგენილება №01-06-02/30**

ქ. თბილისი                                                                 6 აგვისტო 2021

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბიუჯეტო და ეკონომიკური სახსრებით შეძენილი ძირითადი აქტივების (2 930 ცალი) და მცირეფასიანი ინვენტარის (13 523 ცალი) ჩამოწერის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2021 წლის 4 აგვისტოს №0000769879 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 6 აგვისტოს №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის დადგენილების მოთხოვნათა დაცვით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბიუჯეტო და ეკონომიკური სახსრებით შეძენილი და დღეისათვის ამორტიზირებული და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების (2 930 ცალი) და მცირეფასიანი ინვენტარის (13 523 ცალი) ჩამოწერის შესახებ, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2021 წლის 4 აგვისტოს №0000769879 წერილზე თანდართული №1,2,3,4 ოქმების მიხედვით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი                                                    ჯემალ გახოკიძე